



## საქართველო

### თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

#### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 46 15

19/02/2018

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში (№28/36) დაფიქსირებული დარღვევა-ნაკლოვანებების თაობაზე, მუნიციპალიტეტის მერის მიერ გასატარებელ ღონისძიებებისა და პასუხისმგებელ პირთა (პოლიტიკური თანამდებობის პირების და საჯარო მოსამსახურეთა) მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გატარების შესახებ**

2017 წლის 13 დეკემბერს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე შემოვიდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის №10920/18 წერილი, რომლითაც საკრებულოს შემდგომი რეაგირებისათვის გადმოეგზავნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და თერჯოლის მუნიციპალიტეტს შორის არსებულ მიმოწერასთან დაკავშირებული მასალები და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში №28/36.

საკრებულომ საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით განიხილა თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში (№28/36) და დადგენილად ცნო ანგარიშში დაფიქსირებული დარღვევა-ნაკლოვანებები, რის შედეგად ადგილი ქონდა სავარაუდოდ ხშირ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის სახსრების არამიზნობრივ ხარჯვას და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კონკრეტული პასუხისმგებელი პირების მიმართ გამოყენებული იქნას დისციპლინური პასუხისმგებლობის მკაცრი ზომები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილის, მე-2 ნაწილის ა), ზ), თ), ი) და კ) ქვეპუნქტების, 23-ე მუხლის, 24-ე მუხლის, 27-ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გ.ა) ქვეპუნქტის, 139-ე მუხლის და 140-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-10 თავის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-6 თავის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2017 წლის 13 დეკემბერის №10920/18 წერილის და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსის წერილის საფუძველზე საკრებულომ გადაწყვიტა:

**მუხლი 1.** დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს შესაბამის სამსახურებთან და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებთან ერთად მუხლობრივად განიხილონ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში მითითებული დარღვევა-ნაკლოვანებები

და მათ აღმოსაფხვრელად გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები - დავალებების გაცემა, შესაბამისი ტრენინგების ორგანიზება, რეკომენდაციების გაცემა ახალი წლის პროგრამული ბიუჯეტის შედგენისას, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების სავალდებულოობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი კონტროლის მექანიზმების შემუშავება და სხვა ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს შემდგომში საბიუჯეტო სახსრების ეფექტურ და რაციონალურ ხარჯვას.

**მუხლი 2.** დაუყონებლივ დაიწყოს მუნიციპალიტეტის მერმა დისციპლინური სამართალწარმოება (გამოსცეს სამართლებრივი აქტი ბრძანება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლილ საანგარიშო პერიოდში გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებებზე პასუხისმგებელ პირთა მიმართ.

**მუხლი 3.** გაატაროს მკაცრი ზომები მუნიციპალიტეტის მერმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში მითითებულ დარღვევა-ნაკლოვანებებზე პასუხისმგებელ კონკრეტულ პოლიტიკურ თანამდებობის პირების (მუნიციპალიტეტის გამგებელი, მოადგილეები, სამსახურის უფროსები, ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელების), საჯარო მოხელეებისა და აგრეთვე კონტროლის ჯგუფში შემავალი პირების მიმართ, რომელთა სამსახურებრივ მოვალეობათა განზრახ ან გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობის შედეგად მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიაღდა საჯარო დაწესებულებას და შელახა თვითმმართველობის ორგანოთა რეპუტაცია.

**მუხლი 4.** დაევალოს:

- ა) მუნიციპალიტეტის მერს ამ განკარგულების 1-ლი, მე-2 და მე-3 მუხლების დაუყონებლივ აღსრულება და გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის მკაცრი ზომები, მათ შორის სამსახურიდან განთავისუფლება.
- ბ) მუნიციპალიტეტის მერს შედეგების შესახებ საკრებულოს ინფორმირება 1 თვის ვადაში და ამ განკარგულების გათვალისწინება მიმდინარე რეორგანიზაცია-ოპტიმიზაციის პროცესში და კარიერული განვითარების საკითხებში.

**მუხლი 5.** განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

**მუხლი 6.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. №7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 7.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე



საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო